



საქართველოს სტატისტიკის მრგვაცემი სამსახურის
(საქსტატი) 2010 წლის საშმიანობის ანგარიში

შინაარსი

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია - - - - -	4
ორგანიზაციული სტრუქტურა და სამტატო განრიგი - - - - -	11
2010 წლის ბიუჯეტი - - - - -	14
2010 წელს განხორციელებული ცვლილებები - - - - -	17
საერთაშორისო თანამშრომლობა - - - - -	24
არსებული პრობლემები - - - - -	27
დანართი - - - - -	29

კანონმდებლობა და მეთოდოლოგია

კანონმდებლობა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სტატისტიკის წარმოებისა და სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების მიზნით შექმნილ დაწესებულებას, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად.

სამსახური შექმნილია “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე. გარდა ამისა, სამსახური ფუნქციონირებს “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონის საფუძველზეც.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით დამტკიცებულია “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება”.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად საქსტატის საქმიანობა ეფუძნება ოფიციალური სტატისტიკის ძირითად პრინციპებს:

- **პროფესიული დამოუკიდებლობა** – სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ან/და დაინტერესებული ჯგუფების გავლენისგან დამოუკიდებლად;

- **ობიექტურობა** – სტატისტიკის წარმოების და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იქნეს სისტემატურობა, საიმედოობა და მიუკერძოებლობა, რაც გულისხმობს სტატისტიკის წარმოებას პროფესიული და ეთიკური სტანდარტების საფუძველზე, აგრეთვე განხორციელებული პოლიტიკისა და პრაქტიკის გამჭირვალობას, ყველა მომხმარებლისთვის სტატისტიკური მონაცემების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

- **სანდოობა** – სტატისტიკის წარმოება უნდა განხორციელდეს სწორად, ზუსტად და თანმიმდევრულად, რაც გულისხმობს სტატისტიკური სტანდარტების, მეთოდოლოგიისა და რესურსების შესარჩევად მეცნიერული კრიტერიუმების გამოყენებას, აგრეთვე სტატისტიკის წარმოებისათვის გამოსაყენებელი მეთოდოლოგიის საჯაროობას;

- **სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობა** – დაცული უნდა იქნეს დაკავშირების ერთეულთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეგროვდა სტატისტიკური მიზნით, ადმინისტრაციული თუ სხვა წყაროებიდან. აკრძალულია ამ ინფორმაციის არასტატისტიკური მიზნით გამოყენება ან მისი უკანონო გაგრცელება;

- **ეფექტიანობა** – სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯი უნდა იყოს შედეგის მნიშვნელობისა და მიღებული სარგებლის პროპორციული.

საქსტატი წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სისტემის კოორდინატორ დაწესებულებას. კანონის თანახმად, საქსტატი უზრუნველყოფს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ ორგანოებთან კოორდინირებულ მუშაობას, გასცემს რეკომენდაციებს სტატისტიკის წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, ახორციელებს სტატისტიკის წარმოების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციას და ხელს უწყობს დამტკიცებული სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ეფექტიან დანერგვას.

2010 წლის განმავლობაში “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონში შევიდა ორი ცვლილება:

1. “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე 2010 წლის 2 ივნისი, რომლის საფუძველზეც კანონის 27-ე მუხლს დაემატა მე-3 და მე-4 პუნქტები. ცვლილებით საქსტატის მმართველ საბჭოს მიეცა უფლებამოსილება განესაზღვრა სტატისტიკური სამუშაოების ფარგლებს გარეთ დადგენილი სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასური. შესაბამისად, საქსტატის საბჭოს 2010 წლის 22 ნოემბრის №23 დადგენილებით დამტკიცდა “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ სტატისტიკური სამუშაოების ფარგლებს გარეთ დადგენილი სტატისტიკური მონაცემების გავრცელების საფასურის დამტკიცების შესახებ”.

2. “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე 2010 წლის 26 ოქტომბერი. კანონპროექტით განისაზღვრა საქსტატის მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტისთვის საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის ვადა და შინაარსი. კერძოდ, კანონის მე-9 მუხლს დაემატა მე-3 და მე-4 პუნქტები.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, საქსტატის აღმასრულებელ დირექტორს უვალება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის შემუშავება და დასამტკიცებლად საქართველოს პრეზიდენტისთვის წარდგენა. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა განსაზღვრავს წლის განმავლობაში საქსტატის მიერ ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას შესაბამისი მონაცემების, პერიოდულობის და გამოქვეყნების ვადების მითითებით. შესაბამისად, სტატისტიკური სამუშაოების 2010 წლის პროგრამა დამტკიცებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 27 აპრილის №328 განკარგულებით.

სტატსამუშაოთა პროგრამის საფუძველზე, საქსტატი უფლებამოსილია ადმინისტრაციული ორგანოებისაგან და სხვა ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მოითხოვოს და მიიღოს თავისი ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ყველა სტატისტიკური და სხვა ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური).

ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიაწოდონ საქსტატის მათ ხელთ არსებული ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების შესახებ.

სტატისტიკური მონაცემები საჯაროა, გარდა იმ მონაცემებისა, რომლებითაც შესაძლებელია დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირება.

ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლითაც საქსტატი 2010 წელს ხელმძღვანელობდა, შემდეგია:

1. “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” 1999 წლის 28 მაისის საქართველოს კანონი;

2. “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” 2009 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონი;

3. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 1 თებერვლის №72 ბრძანებულებით დამტკიცებული “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება”;

4. საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 27 აპრილის №328 განკარგულებით დამტკიცებული “სტატისტიკური სამუშაოების 2010 წლის პროგრამა.”

შეთოდოლოგია

კანონმდებლობის შესაბამისად, სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას. შესაბამისად, საქსტატი მის მიერ წარმოებულ ყველა სტატისტიკურ კვლევაში ხელმძღვანელობს საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების შესაბამისად სპეციალურად შემუშავებული და დამტკიცებული კითხვარებით. საქსტატის მიერ წარმოებული ძირითადი კვლევები, (მათ შედეგად მიღებული სტატისტიკური მონაცემები) რაც ოფიციალურ სტატისტიკას წარმოადგენს შემდეგია:

1. ეროვნული ანგარიშები (მთლიანი შიდა პროდუქტი და მთლიანი ეროვნული შემოსავალი);
2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევა (საგარეო ვაჭრობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები);
3. ფასების სტატისტიკური კვლევა (სამომხმარებლო ფასების ინდექსი – ინფლაცია, მწარმოებელთა ფასების ინდექსი);
4. სოციალური სტატისტიკა და მათ შორის შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა და შრომის ბაზრის სტატისტიკური კვლევა (სიღარიბის მაჩვენებლები, საარსებო მინიმუმი, შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები, დასაქმება, ხელფასები, განათლების, კულტურის და სამართლებრივი სტატისტიკა);
5. მოსახლეობა და დემოგრაფია (მოსახლეობის რაოდენობა, დაბადება და გარდაცვალება, ქორწინება და განქორწინება, მიგრაცია);
6. ბიზნეს სტატისტიკა (ბიზნეს რეგისტრი, ბიზნეს სექტორის გამოშვების, ბრუნვის და დასაქმების მაჩვენებლები, მომსახურების სტატისტიკა, მრეწველობა და მშენებლობა);
7. სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევა (სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვის სტატისტიკა და სასურსაო უსაფრთხოება).

ეროვნულ ანგარიშებში საქსტატი 2010 წელს იხელმძღვანელა შემდეგი მეთოდოლოგიური დოკუმენტებით:

1. “ეროვნულ ანგარიშთა სისტემა 1993” (SNA - System of National Accounts 1993), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ეკონომიკური, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ბრიუსელი/ლუქსემბურგი, ნიუ იორკი, პარიზი, ვაშინგტონი, 1993 წელი;

2. “დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვა” (Measuring the Non-Observed Economy), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2002 წელი.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევაში გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდოლოგია:

1. საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა” (International Merchandise Trade Statistics), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, აშშ, 2004 წელი;

2. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (HS 2007, Harmonized Commodity Description and Coding System);

3. “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება” (OECD Benchmark Definition of Foreign Direct Investment),

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, პარიზი, საფრანგეთი, 2008 წელი, მეოთხე გამოცემა;

4. „პირდაპირი ინვესტიციების კოორდინირებული გამოკვლევის სახელმძღვანელო“ (The Coordinated Direct Investment Survey Guide) საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წელი;

5. „საგარეო ვალის სტატისტიკა“ (External Debt Statistics) ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია – OECD, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე – UNCTAD, ვაშინგტონი, აშშ, 2003 წელი;

6. კითხვარი - „მონაცემები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“ (კვარტალური, წლიური).

ფასების სტატისტიკაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

1. სამომხმარებლო ფასების ინდექსი, 1993 (Turvey, Ralph, Consumer Price Index, ILO) რალფ ტარვეი, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), 1993;

2. სახელმძღვანელო „სამომხმარებლო ფასების ინდექსი“ (Consumer Price Index Manual, IMF), საერთაშორისო სავალუტო ფონდი;

3. პრაქტიკული სახელმძღვანელო „სამომხმარებლო ფასების ინდექსების წარმოება“ (Practical Guide to Producing Consumer Price Indices), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია;

4. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები, 1993-2007;

5. სამომხმარებლო კალათა შედგენილია შინამეურნეობების კვლევებიდან მიღებული მოხმარების სტრუქტურის საფუძველზე და შედგება მომსახურებისა და საქონელ-წარმომადგენლისაგან, რომელსაც ტიპიური მომხმარებელი შეიძენს. თითოეულ საქონელსა და მომსახურებას მოხმარების პროპორციულად მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წონა. კალათა ამჟამად შედგება 266 საქონელ-წარმომადგენლისაგან. მისი განახლება ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ. დღეისათვის მოქმედი სამომხმარებლო კალათა დამტკიცებულია და ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან;

6. სამომხმარებლო და მწარმოებელთა ფასებზე დაკვირვება ხორციელდება ყოველთვიურად შესაბამისი კითხვარების საფუძველზე: მონაცემები სამომხმარებლო ფასების და ტარიფების შესახებ და სამრეწველო პროდუქციის მწარმოებელთა, მშენებლობაში და სატკირო გადაზიდვებზე არსებული ფასების შესახებ.

შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

1. შინამეურნეობების გამოკვლევის სახელმძღვანელო (Handbook of Household Surveys), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 1984 წელი;

2. კითხვარები:

- შინდა 01 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – საწყისი ინტერვიუ;
- შინდა 02 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – საკონტროლო ბარათი;
- შინდა 03 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – სარჯების დღიური;
- შინდა 04 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – სარჯების კვარტალური კითხვარი;
- შინდა 05 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – ტრანსფერები და ქონებიდან შემოსავლები, დანაზოგები;

- შინდა 05-1 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – დასაქმებისა და შემოსავლების კითხვარი;
- შინდა 07 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – უარების ფურცელი;
- შინდა 09 – შინამეურნეობებზე დაკვირვება – განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე მისაწვდომობის გამოკვლევა.

3. თანამედროვე საერთაშორისო რეკომენდაციები შრომის სტატისტიკაზე (Current International Recommendations on Labour Statistics, ILO), 1998 წლის გამოცემა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), უენევა, შვეიცარია;

4. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის გამოკვლევა: დასაქმება, უმუშევრობა და არასრული დასაქმება (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), (Hussmanns, R., Mehran, F., Verma, V. Surveys of Economically Active Population, Employment, Unemployment and Underemployment), რ. გუსმანი, ფ. მერანი, ვ. ვერმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), უენევა, შვეიცარია, 1994 წელი;

5. დასაქმების, უმუშევრობისა და არასრული დასაქმების გაანგარიშების მეთოდიკა – თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტები და მათი გამოქვეყნების საკითხები, (Measurement of employment, unemployment and underemployment – Current international standards and issues in their application, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);

6. ძირითადი ცნებები და განმარტებები შრომის სტატისტიკაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO);

7. ხელფასების სტატისტიკის ინტეგრირებული სისტემა (მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო), (An Integrated System of Wages Statistics, ILO), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), უენევა, შვეიცარია, 1994 წელი;

8. კითხვარები:

- სტატისტიკური გამოკვლევა – „მონაცემები შრომის შესახებ”, კითხვარი N7-2-01 (წლიური);
- სტატისტიკური გამოკვლევა – „მონაცემები შრომის შესახებ”, კითხვარი N7-2-02 (კვარტალური).

9. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დანაშაულებების აღკვეთის და სისხლის სამართლის ვენის განყოფილების სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის და პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტის რეკომენდაციები;

10. იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის რეკომენდაციები (განათლება, მეცნიერება, კულტურა);

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) და გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) რეკომენდაციები გენდერული სტატისტიკის სფეროში;

12. კითხვარები:

- მონაცემები მუზეუმის მუშაობის შესახებ, N7-3-3
- მონაცემები თეატრის მუშაობის შესახებ, N7-3-4.

მოსახლეობის და დემოგრაფიის სტატისტიკის ძირითადი სახელმძღვანელო მეთოდოლოგიებია:

1. ევროპის სტატისტიკოსთა კონფერენციის რეკომენდაციები 2010 წლის რაუნდის მოსახლეობისა და საცხოვრისების აღწერის შესახებ (Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, უენევა, 2006 წელი;

2. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკური ადრიცხვის სისტემის პრინციპები და რეკომენდაციები (Principles and Recommendations for a Vital Statistics System, UN), მეორე გადასინჯვა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ნიუ იორკი, 2001 წელი;

3. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA), 2005 წელი, თბილისი.

ბიზნეს სტატისტიკაში გამოყენებული იქმ შემდეგი მეთოდოლოგია:

1. სტატისტიკური მოთხოვნების კრებული (Statistical Requirements Compendium, Eurostat), ევროსტატი, 2004 და 2009 წლების გამოცემა;

2. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - განმარტებები და რეკომენდაციები (Methodology of Short-Term Business Statistics (Interpretation and Guidelines), Eurostat), ევროსტატი, 2006 წელი;

3. მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკის მეთოდოლოგია - თანმხლები დოკუმენტები (Methodology of Short-Term Business Statistics (Associated Documents), Eurostat), 2006 წელი, ევროსტატი);

4. საერთაშორისო რეკომენდაციები მშენებლობის სტატისტიკისათვის (International Recommendations for Construction Statistics, UN), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკის სამსახური, 1997 წელი;

5. ახსნა-განმარტებები სამშენებლო საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევისათვის (Пояснения к статистическому обследованию строительной деятельности) გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახური, 1997 წელი;

6. ენერგეტიკის სტატისტიკის სახელმძღვანელო (Energy Statistics Manual, OECD), ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD, ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო;

7. საერთაშორისო რეკომენდაციები ვაჭრობის სტატისტიკისათვის (International Recommendations for Distributive Trade Statistics, UN), გაეროს სტატისტიკის სამსახური, 2009 წელი);

8. სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტის მეთოდოლოგიები (Road Freight Transport Methodology, Eurostat) ევროსტატი, 2008 წელი;

9. მომსახურების სტატისტიკის განვითარება - სემინარის - "მომსახურების სტატისტიკა სტატისტიკაში" - მასალები - მოკლევადიანი ბიზნეს სტატისტიკა (Evolution of Service Statistics: Proceedings of the seminar on "Service Statistics Within Short-term Business Statistics, Eurostat), ევროსტატი, 2002 წელი;

10. ტრანსპორტის სტატისტიკის გლოსარიუმი - მესამე გამოცემა (Glossary for Transport Statistics, Eurostat), ევროსტატი, 2003 წელი;

11. ბიზნეს რეგისტრი - რეკომენდაციების სახელმძღვანელო (Business Register: Recommendations Manual, Eurostat), ევროსტატი, 2003 წელი;

12. ევროსტატის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სახელმძღვანელო ბიზნეს დემოგრაფიის სტატისტიკაზე (Eurostat – OECD Manual on Business Demography Statistics), ევროსტატი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია - OECD, 2007 წელი;

13. ადმინისტრაციული წყაროების გამოყენება ბიზნეს სტატისტიკის მიზნებისათვის: კარგი პრაქტიკის სახელმძღვანელო (Use of Administrative Sources for Business Statistics Purposes: Handbook on Good Practices, Eurostat), ევროსტატი, 1999 წელი;

14. კითხვარები:

- ა) საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა (კვარტალური);
- ბ) ბიზნეს რეგისტრის აქტუალიზების გამოკვლევა (კვარტალური);
- გ) საწარმოთა (იურიდიულ პირთა) სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);
- დ) ინდივიდუალურ მეწარმეთა სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);
- ე) არაკომერციული ორგანიზაციების გამოკვლევა (წლიური);
- ვ) სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების გამოკვლევა (წლიური);
- ზ) ბაზრების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების სტატისტიკური გამოკვლევა (წლიური);
- თ) მონაცემები მშენებლობაზე გაცემული ნებართვების შესახებ (კვარტალური);
- ი) მონაცემები დამთავრებული მშენებლობის შესახებ (კვარტალური).

სასოფლო მეურნეობების შერჩევით გამოკვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეთოდოლოგია:

1. “სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების ჩატარება”, FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №6, (Conducting Agricultural Censuses and Surveys, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), რომი, 1996;

2. “ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო აღწერების და გამოკვლევების სისტემა, ტ.1 - რეკომენდაციები სასოფლო სამეურნეო აღწერათა პროგრამისათვის”. FAO-ს სტატისტიკური განვითარების სერია, №11, (A System of Integrated Agricultural Censuses and Surveys, Vol. 1 World Programme for the Census of Agriculture, FAO), გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) რომი, 2005.

3. **კითხვარები:** ა) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის საწყისი გამოკითხვის კითხვარი; ბ) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის კვარტალური გამოკითხვის კითხვარი; გ) სასოფლო მეურნეობათა შერჩევითი გამოკვლევის დასკვნითი გამოკითხვის კითხვარი.

ოფიციალური სტრუქტურა და საშტატო განრიგი

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონის შესაბამისად, საქსტატოან ფუნქციონირებს საქსტატის საბჭო, რომელიც შედგება შვიდი წევრისა და საბჭოს თავმჯდომარისგან. საბჭოს სამი წევრიდან ერთი არის საქართველოს ეროვნული ბანკის წარმომადგენელი, ერთი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი, ხოლო ერთი – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი. მათ კანდიდატურებს საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენენ შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელები. საბჭოს დანარჩენი ხუთი წევრი არ არის საჯარო მოსამსახურე. მათ თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი საქართველოს პარლამენტის თანხმობით, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონით დადგენილი წესით.

საბჭოს ფუნქციებია:

- 1) საქსტატისათვის სტატისტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
- 2) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- 3) საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქსტატის ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება;
- 4) სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის განხილვა, რეკომენდაციების მომზადება და დამტკიცება ან საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის აღიარება;
- 5) მოსახლეობის საყოველოთაო აღწერის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მეთოდოლოგიის დამტკიცება;
- 6) მოსახლეობის საყოველოთაო აღწერის პროგრამასთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- 7) საქსტატის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის განხილვა და დამტკიცება;
- 8) საქსტატის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
- 9) საბჭოს დებულების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც უნდა განისაზღვროს საბჭოს მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;
- 10) „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” კანონითა და საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა.

“ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის მოთხოვნის საფუძველზე, 2009 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადდა სტატისტიკის დეპარტამენტის რეორგანიზაცია. რეორგანიზაცია დასრულდა 2010 წლის 1 თებერვალს და „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი ამოქმედდა სრულად. რეორგანიზაციის დასრულებისთანავე საქართველოს პრეზიდენტმა დანიშნა აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და დაამტკიცა საქსტატის დებულება. აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა საქსტატ უხელმძღვანელა საქსტატის საბჭოს პირველი შემადგენლობის დანიშნამდე. საქსტატი შექმნილად ჩაითვალა აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშნისა და საქსტატის დებულების დამტკიცების მომენტიდან.

კანონის შესაბამისად, კანონის სრულად ამოქმედებიდან (2010 წლის პირველი თებერვალი) არა უგვიანეს 30 სამუშაო დღისა საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს პარლამენტისთვის უნდა წარედგინა საბჭოს წევრთა

კანდიდატურები, ხოლო პარლამენტს კანდიდატურების წარდგენიდან 21 დღის ვადაში, ფარული კენჭისეყრით თანხმობა უნდა მიეცა საბჭოს წევრების დანიშვნაზე.

აღნიშნული პროცედურები კანონის და შესაბამისი ვადების სრული დაცვით განხორციელდა. კერძოდ, მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საბჭოს წევრობის 8 კანდიდატურა, საქართველოს პარლამენტმა თანხმობა მისცა 5 კანდიდატს. საქსტატის საბჭოს პირველი სხდომა შედგა 2010 წლის 17 თებერვალს, სადაც არჩეული იქნა საქსტატის საბჭოს თავმჯდომარე და დამტკიცებული იქნა საქსტატის საბჭოს დებულება. საბოლოოდ, საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 17 თებერვლის განკარგულებებით 4 წლის ვადით დაინიშნენ საქსტატის საბჭოს წევრები.

2009 წლის 31 დეკემბერს, რეორგანიზაციის მომენტისათვის სტატისტიკის დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხა განსაზღვრული იყო 169 საშტატო ერთეულით (95 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 74 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). სტატისტიკის დეპარტამენტის სტრუქტურაში შედიოდა 6 დარგობრივი სამმართველო (მეთოდოლოგიის, კოორდინაციისა და სტანდარტების სამმართველო, მაკროეკონომიკური სტატისტიკის სამმართველო, საწარმოთა სტატისტიკის სამმართველო, ფასების სტატისტიკის სამმართველო, სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო, სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის სტატისტიკის სამმართველო), დეპარტამენტის თავმჯდომარის აპარატი (სამმართველოს სტატუსით) და 7 ტერიტორიული ორგანო – თბილისის სტატისტიკის სამმართველო, თელავის სტატისტიკის სამმართველო, გორის სტატისტიკის სამმართველო, ქუთაისის სტატისტიკის სამმართველო, ბორჯომის სტატისტიკის სამმართველო, მარნეულის სატარისტიკის სამმართველო და ფოთის სტატისტიკის სამმართველო. დანართი 1-ში მოცემულია სტატისტიკის დეპარტამენტის ორგანიზაციული სტრუქტურა.

საქსტატის დებულების შესაბამისად 2010 წლის პირველ თებერვალს დამტკიცდა საქსტატის ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი, რომელიც განსაზღვრული იყო 167 საშტატო ერთეულით (93 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 74 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში), ხოლო ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრა 9 სამმართველოსა და 8 ტერიტორიული ორგანოსაგან (დაემატა ბათუმის სტატისტიკის სამმართველო, რომელიც მანამდე აჭარის ავტონომიური რესაუნდლიკის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდა). შეიქმნა აღმასრულებელი დირექტორის აპარატი, სამართლებრივი უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სამმართველო და ახალი ტერიტორიული ორგანო – ბათუმის სამმართველო. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობისა და ეკოლოგიის სტატისტიკის სამმართველოს ნაცვლად ჩამოყალიბდა სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო.

2010 წლის 19 თებერვლის №115 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ცვლილება და დამატება შევიდა საქსტატის დებულებაში და სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველო გაიყო სოციალური სტატისტიკისა და მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოებად.

2010 წლის 23 აპრილის №252 საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით საქსტატის დებულებაში შევიდა კიდევ ერთი ცვლილება და დამატება და სამართლებრივი უზრუნველყოფისა და მონიტორინგის სამმართველოსაგან დამოუკიდებლად შეიქმნა მონიტორინგის განყოფილება.

2010 წლის 1 ივნისს საქსტატის საბჭოს №20 დადგენილებით დამტკიცდა საქსტატის ახალი საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი, რომლის საფუძველზეც საქსტატის საშტატო რიცხოვნობა (169 საშტატო ერთეული)

შემცირდა 20 ერთეულით და განისაზღვრა 149 საშტატო ერთეულით (97 საშტატო ერთეული ცენტრალურ აპარატში და 52 საშტატო ერთეული ტერიტორიულ ორგანოებში). რამდენიმე წამყვანი უმაღლესი სასწავლებლიდან შეირჩნენ ახალკურსდამთავრებულები, რომელთაც დაიწყეს მუშაობა საქსტატში. თუმცა, ამ მხრივ პრობლემები დღესაც არის, რადგან დაბალი ხელფასების გამო ძალიან როგორიცაც ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების მოზიდვა.

საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 8 დეკემბრის №987 ბრძანებულებით საქსტატის დებულებაში შევიდა ცვლილებები და შეიქმნა შიდა აუდიტის სამმართველო, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამმართველო, ეროვნული ანგარიშების სამმართველო და საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო. აღნიშნული ცვლილებები ამოქმედდა 2011 წლის 1 იანვრიდან (დანართი 2).

2010 წლის ბიუჯეტი

საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2010 წლის ხარჯებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 4 853 000 ლარი. მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 3 215 600 ლარი, კრედიტები და გრანტები 1 637 400 ლარი. ამასთან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით (№403 8.12.2010 წელი) საოფიციურ ფართობის სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის შესაბამისი პროექტის შედგენის ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოეყო 65 000 ლარი. წლის განმავლობაში, „2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის „შესახებ“ საქართველოს კანონის და „საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად განხორციელდა დასაშვები ცვლილებები ასიგნებებში, რის შედეგადაც დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 3 280 600 ლარი (დანართი №3). აღნიშნული სახსრების ხარჯვას საქსტატი ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქსტატის „ს/ს „რესპუბლიკა ბანკი“-ს ცენტრალურ ფილიალში გახსნილი აქვს ანგარიში, სადაც ხორციელდება საქსტატის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აკუმულირება და ხარჯვა. საბიუჯეტო და ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული სახსრების ხარჯვა ხორციელდება აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით. 2010 წელს საქსტატის მიერ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურიდან გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 4 682 951 ლარი. მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები - 3 210 167 ლარი, ხოლო კრედიტები და გრანტები - 1 472 784 ლარი. გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები ათვისებულია 98%-ით, ხოლო კრედიტებისა და გრანტების ნაწილში - 90 %-ით. (დანართი 3, დანართი 4). ეკონომიკური საქმიანობიდან 2010 წელს მიღებულ იქნა 208 798 ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 199 485 ლარი. (დანართი 5).

2010 წლის დასაწყისისათვის საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 169 ერთეულს, რომელიც წლის განმავლობაში შემცირდა 149 ერთეულამდე. შესაბამისად სახელფასო ფონდი თვეში 112550 ლარიდან შემცირდა 102250 ლარამდე (დანართი 6).

სსიპ „საქართველოს სტატისტიკის მროვნული სამსახური-საქსტატი“-ს პარატი

2010 წლის საქსტატის აპარატის ხარჯებმა შეადგინა 2 039 725 ლარი. მათ შორის:

- ხელფასი – 1 179 470 ლარი;
- პრემია – 278 040 ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 79 564 ლარი
- მივლინება – 4 391 ლარი;
- ოფისი – 355 900 ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი – 4544 ლარი;
- ტრანსპორტი – 15 597 ლარი;

- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 76 534 ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა – 22 430 ლარი;
- სხვა ხარჯები – 8 746 ლარი;
- არაფინანსური აქტივი – 14 509 ლარი.

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 673 670 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 519 274 ლარი;
- მივლინება – 12 996 ლარი;
- ოფისი – 23 917 ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 12 692 ლარი.
- მსოფლიო ბანკის თანხის დაბრუნება – 104791 ლარი (საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 თებერვლის №135 განკარგულება).

შინამეურნეობების ინტებრირებული კვლევის პროგრამა

შინამეურნეობების ინტებრირებული კვლევის პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 204 780 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 204 521 ლარი;
- მივლინება – 259 ლარი.

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამა

სასოფლო მეურნეობების შერჩევითი კვლევის პროგრამის განხორციელებაზე დახარჯული იქნა 291 991 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 289 497 ლარი;
- მივლინება – 2 494 ლარი.

2010 წელს მიღებული/მისაღები გრანტები და მიზნობრივი დაფინანსება

ვონდი ათასობის გამოწვევა საქართველოს (ემ-სი-ჯ0)

ემ-სი-ჯ0-ს პროგრამის ზეგავლენის შეფასების პროექტის (სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერა და შინამეურნეობების ინტებრირებული გამოკვლევა 2008-2011 წლები) განხორციელებაზე 2010 წელს გახარჯული იქნა 1 437 038 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 1030412 ლარი;
- მივლინება – 34 002 ლარი
- ოფისი – 51 566 ლარი
- წარმომადგენლობითი – 44 836 ლარი
- ტრანსპორტი – 19 475 ლარი
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 183 289 ლარი
- არაფინანსური აქტივი – 73 458 ლარი.

გაერთიანებული მრების ორგანიზაციის მოსახლეობის ვონდი (UNFPA)

2006-2010 წლებში ეროვნული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიმდინარე 2010 წლის სამუშაო გეგმის (AWP) განხორციელებაზე გამოიყო და დახარჯულ იქნა 21 524 ლარი.

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 21 524 ლარი.

ბავროს მგროვის ეკონომიკური კომისია (UNECE)

პროგრამის “ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესაძლებლობათ განმტკიცება ადგილობრივი ცოდნის საზოგადოებათა მიერ კავშირების განმტკიცების გზით” განხორციელებაზე გამოიყო 14 499 ლარი, საიდანაც გახარჯული იქნა 14 222 ლარი. მათ შორის:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 13 652 ლარი.
- ოფისი – 570 ლარი

2010 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

2010 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 208 797 ლარი. მათ შორის:

- ჯანდაცვის მომსახურების, უტილიზაციისა და დანახარჯების შეფასების შინამეურნეობის გამოკვლევა – 136 773 ლარი;
- ვეტერინარული მომსახურების შესახებ სასოფლო მეურნეობების გამოკვლევა – 59 080 ლარი;
- გაეროს ბაგშვთა ფონდი (ანალიტიკური ანგარიში, გენდერი) – 8 900 ლარი;
- ფასიანი მომსახურება – 4 044 ლარი.

2010 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაზეული ხარჯები

2010 წელს ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან საქსტატის მიერ გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 199 483 ლარი. მათ შორის:

- ჯანდაცვის მომსახურების, უტილიზაციისა და დანახარჯების შეფასების შინამეურნეობის კვლევა – 119 547 ლარი (დღგ-ს ჩათვლით);
- ვეტერინარული მომსახურების შესახებ სასოფლო მეურნეობების გამოკვლევა – 51 936 ლარი;

საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის გადაწყვეტილებით 28 000 ლარი გამოყენებულ იქნა თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებასა, საოფისე ხარჯებისა და საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების დასაფარად.

2010 წელს განხორციელებული ცვლილებები

პირველი, რაც ახლადშექმნილმა საქსტატმა დაიწყო, ეს იყო ინფორმაციის გავრცელების ახალი თანამედროვე მეთოდების დანერგვა. სტატისტიკური კვლევების გაუმჯობესების პარალელურად, სამსახურისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო და რჩება გამჭირვალობის უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ნდობის მოპოვება.

დამოუკიდებელი საქსტატის შექმნის პირველივე დღეს აქტიური მუშაობა დაიწყო ვებ-გვერდის სრულყოფაზე და შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელების მეთოდების დახვეწაზე. 2 კვირის ვადაში ამოქმედდა საქსტატის ახალი ვებ-გვერდი, რომელიც წინასთან შედარებით გაცილებით მოქნილია ინფორმაციის მოპოვების, ფორმატისა თუ დიზაინის მხრივ. ამას ადასტურებს კიდეც მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფების გამოკითხვის შედეგები.

დაინერგა ინფორმაციის გავრცელების ახალი მეთოდები. კერძოდ, ყველა სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც პერიოდულად ქვეყნდება, გარდა Excel-ის ცხრილებისა ვებ-გვერდზე იდება PDF ფორმატშიც, რაც მომხმარებლებს მნიშვნელოვანად უადვილებს ინფორმაციის გამოყენებას.

გარდა იმისა, რომ ვებ-გვერდზე ყველა ძირითად მეთოდოლოგიაზე განთავსებული იყო ბმულები, გამჭირვალობის უზრუნველყოფის მიზნით ვებ-გვერდზე განთავსდა ყველა ძირითადი მეთოდოლოგიის ქართულენოვანი განმარტება (ფასები, დასაქმება, საარსებო მინიმუმი, ეროვნული ანგარიშები, პირდაპირი უცხოური ინგენიერი და სამსახურის მიერ მიღება). აქვე გახსნილია ვებ-ფორუმი, სადაც ნებისმიერ მსურველს კვლევების მეთოდილოგიასთან დაკავშირებით შეუძლია გამოთქვას თავისი მოსაზრება ან დასვას შეკითხვა.

საქსტატის საბჭოს გადაწყვეტილებით, ვებ-გვერდზე განთავსდა შინამეურნეობების და სამომხმარებლო ფასების კვლევების მონაცემთა ბაზები. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი მომხმარებელი თავად გაეცნოს კვლევის შედეგებს, თავად დაითვალის ინფლაცია, სოციალური და შრომის სტატისტიკის ძირითადი მონაცემები, გააკეთოს შედარებები და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, შეაფასოს საქსტატის მიერ მიღებული მონაცემების ობიექტურობა. ეს სერიოზული ნაბიჯია სამსახურის საქმიანობის გამჭირვალობისა და ნდობის მოპოვების საქმეში.

ბიზნესთან თანამშრომლობისა და სტატისტიკური კვლევების გაუმჯობესების მიზნით ვებ-გვერდზე განთავსდა ელექტრონული კითხვარები და კომპანიებს შეუძლიათ ელექტრონულად შეაგვინონ და გამოაგზავნონ ბიზნეს სტატისტიკის და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარები.

დაინერგა ანგარიშის სისტემა. ვებ-გვერდზე ყოველკარტალურად იდება ინფორმაცია კვარტლის განმავლობაში გავრცელებული პუბლიკაციების, პრეს-რელიზების, შემოსულ მოთხოვნებზე გაცემული პასუხების და ვებ-გვერდზე შემოსულთა რაოდენობის შესახებ. ეს ყველაფერი აჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს სამსახური ინფორმაციის გავრცელების კუთხით. 2010 წლის განმავლობაში საქსტატის მიერ გავრცელდა 55 პუბლიკაცია, 178 პრეს-რელიზი, საქსტატის ვებ-გვერდზე შემოვიდა 139 224 ვიზიტორი, სხვადასხვა მაჩვენებლების შესახებ საქსტატიდან წერილობით გასულია 1 773 წერილი.

შემდეგი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც დაიხვეწა და გაუმჯობესდა, არის სტატისტიკური გამოკვლევების მონიტორინგი. 2010 წელს შეიქმნა და დაინერგა მონიტორინგის, კონტროლის და შიდა აუდიტის სისტემა. ამ მიზნით შეიქმნა მონიტორინგის ახალი სამმართველო, რაც გარკვეულ შედეგებს უკვე იძლევა. კერძოდ, მონიტორინგის შედეგები საშუალებას იძლევა ეფექტურად გადახალისდეს ინტერვიუების ქსელი. დაინერგა სატელეფონო

მონიტორინგი და ცხელი ხაზი. მომსახურების გაუმჯობესების და მონიტორინგის მიზნით ვებ-გვერდზე დაიდო ცხელი ხაზის ნომერი.

თანამედროვე დასავლური სტატისტიკის სამსახურების მნიშვნელოვანი მიმართულებაა აქტიური დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის ძირითად მომხმარებლებთან. ეს არის საერთაშორისოდ აღიარებული მოდელი, რომელიც, ბუნებრივია, საქსტატისტიკისაც მუშაობის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს. ამ მიზნით დაიწყო თანამშრომლობა საქართველოს ბიზნეს ასოციაციასთან. ბიზნეს ასოციაციის მეშვეობით თანამშრომლობა გაგრძელდა დარგობრივ ბიზნეს ასოციაციებთან. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოს ბიზნეს ასოციაციასა და 6 დარგობრივ ბიზნეს ასოციაციასთან. პარალელურად, იმისთვის, რომ საქსტატის მხრიდან გამოკვეთილიყო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები, ჩატარდა გამოკითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად იცნობს ბიზნეს სექტორი საქსტატს და საქსტატის მიერ წარმოებულ ინფორმაციას.

ბიზნესთან თანამშრომლობის ფორმატში შეიქმნა საქსტატისა და ბიზნეს ასოციაციის ორმხრივი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მუშაობის შედეგად, გამარტივდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევის კითხვარი, მნიშვნელოვანად შემცირდა გამოუპასუხებლობა. გამოვლინდა და სპეციალური სერტიფიკატებით დაჯილდოვდა ის საუკეთესო კომპანიები, რომლებიც ყველაზე წარმატებულად თანამშრომლობებს საქსტატთან. საქართველოს ბიზნეს ასოციაციას და დარგობრივ ბიზნეს ასოციაციებს ყოველთვიურად უსასყიდლოდ ეგზავნებოდათ სტატისტიკური ინფორმაციის პაკეტები. საინფორმაციო პაკეტები შედგენილი იყო თვითონ კომპანიების მოთხოვნების საფუძველზე.

მსგავსი თანამშრომლობა დაიწყო არასამთავრობო ორგანიზაციებთან. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები და მოხდა საინფორმაციო პაკეტების შეთავაზება.

დამატებით, დაინერგა ექსპერტთა შეხვედრების ფორმატი. შედგა რამდენიმე შეხვედრა, სადაც განხილული იყო ძირითადი სტატისტიკური მეთოდოლოგიები.

დაიწყო თანამშრომლობა უმაღლეს სასწავლებლებთან. გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის საფუძველზეც მოხდება სტატისტიკური ინფორმაციით უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების უზრუნველყოფა. შედგა საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის რამდენიმე შეხვედრა სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. გარდა ამისა, პერიოდულად განხორციელდება უნივერსიტეტის სტუდენტების სასწავლო პრაქტიკა საქსტატში.

2010 წელს საერთაშორისო მასშტაბით პირველად აღინიშნა სტატისტიკის მსოფლიო დღე. 20 ოქტომბერი სტატისტიკის მსოფლიო დღედ 2010 წელს გაეროს გენერალური ასამბლეის № 64/267 რეზოლუციით დაწესდა. კერძოდ, 20 ოქტომბერი გაეროს სტატისტიკის განყოფილებამ, გაეროს რეგიონულმა ოფისებმა და გაეროს წევრი 192 ქვეყნის ეროვნულმა სტატსამსახურებმა სტატისტიკის მსოფლიო დღე სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნეს.

სტატისტიკის მსოფლიო დღე საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნა. საქსტატმა მოამზადა პლაკატი (პოსტერი), რომელიც გაეგზავნა გაეროს აზისა და წევრი ოკეანის აუზის ეკონომიკურ-სოციალურ კომისიას (ქ. ბანგკოკი, ტაილანდი) სტატისტიკის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი სპეციალური გამოფენისთვის. გამოფენაზე საქართველოს სტატსამსახურს, ისევე როგორც კომისიის ყველა წევრ ქვეყანას, საკუთარი კუთხე ჰქონდა.

ამ დღესთან დაკავშირებით სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა სპეციალური სიგელებით დააჯილდოვა

საუკეთესო ინტერვიუერები და სპეციალური სერტიფიკატები გადაეცათ იმ საწარმოებს, რომლებიც ყველაზე აქტიურად თანამშრომლობდნენ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა კვლევების მეთოდების დახვეწის კუთხითაც. კერძოდ:

- ფასების სტატისტიკურ გამოკვლევაში აღმოფხვრილია იმპუტაციის პრობლემა. USAID FORECAST-ის დახმარებით ინერგება მინი კომპიუტერებით ფასების აღრიცხვა, რაც უფრო მეტად სანდოს, ხარისხიანს და ოპერატიულს გახდის სავალე სამუშაოებს და, შედეგად, სტატისტიკურ მონაცემებს;

- ეროვნულ ანგარიშებში ევროკავშირის დახმარებით ჩეხეთის სტატისტიკის ექსპერტების მიერ გაკეთდა კვლევის შეფასება და შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები. პოლონეთის სტატისტიკაში 1 თვით მივლინებული იყო ეროვნული ანგარიშების განყოფილების უფროსი;

- შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევაში განხორციელდა მსოფლიო ბანკისა და UNDP ტექნიკური დახმარება;

- ბიზნეს სტატისტიკაში გაიზარდა შერჩევის ზომა და შემცირდა გამოუპასუხებლობა;

- დაიხვეწია და უფრო ოპერატიული გახდა სტატისტიკური კვლევები. შედეგად, 2010 წლის ბოლოს საქსტატის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 2011 წლიდან შემცირდა სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ვადები. კერძოდ:

1. მთლიანი შიდა პროდუქტის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით და ნაცვლად 85-ე დღისა, გამოქვეყნდება მე-80 დღეს;

2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყოველკვარტალური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით და ნაცვლად 75-ე დღისა, გამოქვეყნდება მე-70-ე დღეს;

3. ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით და ნაცვლად 70-ე დღისა, გამოქვეყნდება მე-65-ე დღეს;

4. ინფლაციის ყოველთვიური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 2 დღით და ნაცვლად თვის 5 რიცხვისა, გამოქვეყნდება 3 რიცხვში.

2010 წელს საქსტატი განხორციელებული ცვლილებები ცალკეული სამმართველოების მიხედვით შემდეგია:

მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო

- მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველო ჩამოყალიბდა ცალკე სამმართველოდ;
- შეიქმნა გეოგრაფიული-საინფორმაციო სისტემების ჯგუფი და დაიწყო აღწერისათვის ციფრული კარტოგრაფიული მასალის მომზადება;
- სამმართველოს თანამშრომლებმა შეისწავლეს სტატისტიკური პროგრამები (SPSS, STATA) და ამის შედეგად ხორციელდება 2010 წლის პირველადი დემოგრაფიული მონაცემების SPSS-ში დამუშავება, ასევე წინა წლების მონაცემების SPSS-ში გადაყვანა.

ფასების სტატისტიკის სამმართველო

- ინფლაციის მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 2 დღით, ნაცვლად თვის 5 რიცხვისა მაჩვენებელი ქვეყნდება 3 რიცხვში;
- შეიქმნა სამომხმარებლო ფასების განყოფილება;
- 2010 წლის იანვრიდან დაინერგა სამომხმარებლო ფასების ინდექსისთვის ახალი პროგრამა;
- დაინერგა ფასების იმპუტირების მეთოდი ნაცვლად ინდექსის იმპუტაციისა;
- მოხდა სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლის სპეციფიკაციების განახლება (ეხება ძირითადად ტექნიკას);
- განხორციელდა საერთაშორისო შედარებების პროგრამაში მონაწილეობის მოსამზადებელი სამუშაოები;
- სამმართველოს თანამშრომლებმა შეისწავლეს სტატისტიკური პროგრამები (SPSS, STATA);
- გაუმჯობესდა სამომხმარებლო ფასების ინდექსის გავრცელების ფორმატი.

ეროვნული ანგარიშების სამმართველო

- 2011 წლის 1 იანვრიდან ეროვნული ანგარიშების განყოფილება ჩამოყალიბდა ცალკე სამმართველოდ;
- მოლიანი შიდა პროდუქტის გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით და ქვეყნდება კვარტალის დასრულებიდან მე-80 დღეს (ნაცვლად 85-ისა);
- დაინერგა ყოველთვიური მაჩვენებლების გაანგარიშების, შეგროვებისა და გავრცელების სისტემა;
- პოლონეთის სტატისტიკის სამსახურის გამოცდილების საფუძველზე დაიგეგმა მეთოდოლოგიური ცვლილებები ეროვნული ანგარიშების რამდენიმე პრაქტიკული მიმართულებით:
 - 1) გაანალიზდა პოლონეთის სტატისტიკაში გამოყენებული კითხვარები და ამის საფუძველზე ცვლილებები შევიდა ბიზნეს-სტატისტიკის კვარტალურ კითხვარში.
 - 2) კაპიტალის ანგარიშის ფორმირების პოლონური მეთოდოლოგიის საფუძველზე მომზადდა 2011 წელს კაპიტალის ანგარიშის შექმნის გეგმა.
 - 3) დაიწყო საკუთარი საცხოვრისის პირობითი რენტის საცდელი გაანგარიშება “სამომხმარებლო ღირებულების” მეთოდით.
- მინშვნელოვნად გაუმჯობესდა რეგიონული ანგარიშების წარმოების მეთოდები, რასაც ხელი შეუწყო ჩეხი ექსპერტების სამუშაო ვიზიტმა ეროვნული ანგარიშების განყოფილებაში. შემდეგ ეტაპზე 2011 წელს იგეგმება ამ მიმართულებით პოლონელ ექსპერტებთან მუშაობა.
- დაიწყო ყოველთვიური ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე ეკონომიკური ზრდის ტენდენციების გაანგარიშება;
- სამმართველოს თანამშრომლებმა შეისწავლეს სტატისტიკური პროგრამები (SPSS, STATA).

ბიზნეს სტატისტიკის სამმართველო

- შეიცვალა ბიზნეს სტატისტიკის სამმართველოს სტრუქტურა;

- ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური მონაცემების გამოქვეყნების ვადა შემცირდა 5 დღით (ნაცვლად 70-ე დღისა კვარტლის დასრულებიდან მონაცემები ქვეყნდება 65-ე დღეს);
- ვებ-გვერდზე განთავსდა ელექტრონული კითხვარები, რის საფუძველზეც კომპანიებს შეუძლიათ მონაცემები წარმოადგინონ ელექტრონულ ფორმატში;
- ბიზნეს სუბიექტებთან თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საქსტატსა და ბიზნეს ასოციაციას შორის;
- გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები დარგობრივ ასოციაციებთან, რომლის საფუძველზეც მათ რეგულარულად მიეწოდებოდათ სასურველი ინფორმაცია;
- გამოვლინდა და სპეციალური სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ ის საუკეთესო კომპანიები, რომლებიც ყველაზე წარმატებულად თანამშრომლობდნენ საქსტატთან;
- გაუმჯობესდა ბიზნეს რეგისტრის (მოქმედ საწარმოთა გენერალური ერთობლიობის) ხარისხი;
- შემოსავლების სამსახურის ბაზებზე სრული ხელმისაწვდომობისა და ბიზნეს რეგისტრის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მომზადდა და მიღებულ იქნა მთავრობის დადგენილება;
- საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად შეიცვალა მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ფორმატი და გაუმჯობესდა ბიზნეს რეგისტრის ხარისხი;
- გაიზარდა ბიზნეს სტატისტიკის გამოკვლევების შერჩევის ზომა და ინფორმაციის საიმედოობა;
- გაფართოვდა სამრეწველო პროდუქციის წარმოების ნატურალური მაჩვენებლების წრე და გაუმჯობესდა მათი ხარისხი;
- შესრულებულ იქნა გარკვეული სამუშაოები ენერგეტიკის სტატისტიკის გაუმჯობესებისა და ენერგეტიკული ბალანსის ფორმირების თვალსაზრისით;
- ტურიზმის სტატისტიკის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგა ტურისტული კომპანიების წლიური გამოკვლევა;
- ეტაპობრივად ინერგება მონაცემთა დამუშავება და ანალიზი SPSS-ის და STATA-ს გამოყენებით.

საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველო

- საგარეო ვაჭრობისა და უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის სამმართველოს ჩამოყალიბდა ცალკე სამმართველოდ;
- სსიპ შემოსავლების სამსახურთან გაფორმდა შეთანხმება საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ბაზების დეტალიზაციისა და ინფორმაციის მიღების ვადების შესახებ;
- ვებ-გვერდზე განთავსდა საგარეო ვაჭრობის მონაცემები, საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის უფრო დეტალიზებულ (4 ნიშა) დონეზე;
- FDI-ის გავრცელების ვადა შემცირდა 5 დღით;
- მოხდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის კითხვარის სრულყოფა საერთაშორისო მეთოდოლოგიების უახლესი ცვლილებების გათვალისწინებით;

- შემუშავდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკური გამოკვლევის ელექტრონული კითხვარები;
- ბიზნესმენთა ასოციაციის წევრებისათვის მოხდა FDI-ის გაანგარიშების მეთოდოლოგიის გაცნობა და მათი ინფორმაციულობის დონის ამაღლება;
- საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმების საფუძველზე, განხორციელდა FDI-ის მონაცემთა შექსება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;
- ეროვნული ბანკიდან ITRS-ის (საერთაშორისო ოპერაციების ანგარიშგების სისტემა) საშუალებით მოხდა დამატებითი ინფორმაციის მიღება და FDI-ის არსებული მონაცემების კონტროლი;
- ინფორმაციის გაცვლის ეფექტური სისტემის დანერგვის და თანამედროვე დასავლური სტანდარტების გაზიარების მიზნით გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ეროვნულ ბანკთან;
- აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან მოხდა პრივატიზაციისა და FDI-ის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება;
- მოხდა FDI-ის გაანგარიშებისას საინვესტიციო პროექტების თანხების გათვალისწინების გაუქმება რეალურად დაბანდებული თანხების შესახებ რფიციალური დოკუმენტაციის არარსებობის საფუძველზე;
- დაიწყო მშენებარე ობიექტებიდან ინფორმაციის მიღება;
- დაჯილდოვდნენ საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სტატისტიკურ გამოკვლევაში მონაწილე საუკეთესო ინტერვიუერები;
- სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს ტრეინინგი სტატისტიკურ პროგრამებში (SPSS, STATA);

სოციალური სტატისტიკის სამმართველო

- განხორციელდა საველე პერსონალის - ინტერვიუერთა ქსელის ოპტიმიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ინტერვიუერთა მოტივაციის ზრდას და შევსებული კითხვარების ხარისხის გაუმჯობესებას;
- მომზადდა სპეციალური პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს შევსებული კითხვარების ლოგიკური კონტროლის განხორციელებას კომპიუტერის საშუალებით წინასწარ მომზადებული კონტროლების მიხედვით. აღნიშნული საშუალებას მოგვცემს ანგარიშის სახით მომზადდეს და საველე პერსონალისათვის ხელმისაწვდომი გახდეს მათ მიერ საველე სამუშაოების დროს დაშვებული თითოეული შეცდომა;
- მომზადდა ლოგიკური კონტროლის განხორციელების შესაბამისი დოკუმენტი – აღწერილობა, რომელიც ხელს შეუწყობს აღნიშნული ეტაპის განხორციელების გამჭირვალობას, მონაცემთა ბაზის გაწმენდის სრულყოფას და მონაცემთა დამუშავების განხორციელებას;
- შეიცვალა მონაცემთა ორმაგი ჩაწერის პრინციპი და შესაბამისად მონაცემთა ჩაწერის პროგრამა, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა ოპერატორის შეცდომები;
- შეიცვალა საველე სამუშაოების შემდგომ განსახორციელებელი სამუშაოების (კითხვარების ლოგიკური კონტროლი და კოდირება, კომპიუტერში ჩაწერა, მონაცემთა ბაზის გაწმენდა) სისტემა, რაც ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული სამუშაოების უფრო მოკლე დროში დასრულებას;
- სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს ტრეინინგი სტატისტიკურ პროგრამებში (SPSS, STATA);

- განხორციელდა მონაცემთა ბაზის დიზაინის სრულყოფა და მისი აღწერილობის მომზადება, აგრეთვე პირველადი მონაცემების აგრეგირების პროცედურების აღწერილობა (კალკულაციები)

ადმინისტრაციული სამმართველო

- შემუშავდა და დამტკიცდა სამსახურის შინაგანაწესი.
- სარგებლობაში მყოფი მატერიალური ფასეულობები და აქტივები ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ქვეშ გადაუცა თითოეულ თანამშრომელს;
- გამოვლინდა გამოუყენებელი, ამორტიზებული და გასანადგურებელი ძირითადი აქტივების ნუსხა, შესაბამისი აუდიტორულ-ექსპერტული დასკვნით;
- პრივატიზებულია გამოუყენებელი აქტივების ნაწილი და ბიუჯეტში შეტანილია 7600 ლარი;
- მიმდინარეობს ამორტიზებული და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების ლიკვიდაციის პროცესი (1970 წლებიდან მოყოლილი ქონება), რითაც მნიშვნელოვანი ფართი გამოთავისუფლდება;
- ბალანსზე ირიცხებოდა შენობა-ნაგებობები, რომლებიც საჯარო რეესტრში არ იყო გატარებული და ფართები არ ედრებოდა ფაქტიურ მდგომარეობას. მოხდა ქონების ოპტიმიზაცია და სახელმწიფოს დაუბრუნდა შენობები საგურამოში, სამტრედიაში, წყალტუბოში, ლანჩხუთში, ჭოპორტში; დაზუსტდა გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ბორჯომის, ყაზბეგის, ლაგოდეხის ფართები და დაკანონდა შესაბამისი აქტებით;

სოფლის მეურნეობისა და გარემოს სტატისტიკის სამმართველო

- აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით მოხდა სამმართველოს კომპიუტერული აღჭურვილობის განახლება;
- სამმართველოში დანერგა სტატისტიკური პროგრამა STATA-ს ლიცენზირებული ვერსიები;
- სამმართველოს თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრეინინგი სტატისტიკურ პროგრამებში (Access, SPSS);
- მოეწყო შეხვედრები სოფლის მეურნეობის სტატისტიკის მომსმარებლებთან;
- აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელდა ლონისძიება, რომელიც გულისხმობდა საქართველოს მუნიციპალიტეტებში ინტერვიუერთა განახლებას და სარეზერვო ქსელის შექმნას (სარეკლამო განცხადებების გავრცელება, განცხადებების მიღება-განხილვა, შერჩეული კანდიდატებისათვის ტრეინინგის ჩატარება, ტესტირება);
- განხორციელდა ინტერიუერთა მიერ ჩატარებული საველე სამუშაოების მონიტორინგი.

საერთაშორისო თანამშრომლობა

როგორც უკვე აღინიშნა, “ოფიციალური სტატისტიკის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტატისტიკის სამსახურებსა და გამოცდილებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა ყოველთვის აქტიურად ხორციელდებოდა სტატისტიკის დეპარტამენტის დროსაც, მაგრამ დღეს, მას შემდეგ, რაც სამსახური გახდა დამოუკიდებელი, დონორების და სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურების მხრიდან ინტერესმა მნიშვნელოვნად მოიმატა.

აქტიურ გამომდინარე, ბუნებრივია, რომ 2010 წელი საკმაოდ წარმატებული იყო საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებითაც. სტატისტიკის დეპარტმენტს წარსულშიც ჰქონდა საკმაოდ დიდი ფინანსური თუ ტექნიკური დამხარება, მაგრამ საქსტატის დამოუკიდებელ სამსახურად ჩამოყალიბებამ კიდევ უფრო აქტიური გახდა ეს პროცესი. გააქტიურდა თანამშრომლობა როგორც დონორ ორგანიზაციებთან, ასევე ორმხრივი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნების სტატისტიკის სამსახურებთან. კერძოდ:

1. მსოფლიო ბანკის 2010 სტატისტიკური შესაძლებლობების ინდექსის (2010 Statistical Capacity Indicator) მონაცემებით, საქართველოს სტატისტიკური სისტემა 2010 წელს შეფასებულია 100-დან 94 პროცენტით. შედარებისთვის 2004 წელს ეს მონაცემი იყო 67 პროცენტი, ხოლო 2009 წელს 88 პროცენტი;

2. საქართველო მიუერთდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემთა გავრცელების სპეციალურ სტანდარტს (IMF SDDS);

3. მსოფლიო ბანკთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა სტატისტიკის სამსახურის საჭიროებების გამოვლენის და სტრატეგიული გეგმის პროექტზე. საქსტატში მუშაობენ მსოფლიოს საუკეთესო ექსპერტები. გაიმართა შეხედრა დონორებთან აღნიშნულ პროექტში მათი შესაძლო მონაწილეობის თაობაზე;

4. ეროვნული ანგარიშების განყოფილების უფროსი სამუშაო პრაქტიკის გავლის მიზნით 1 თვით იმყოფებოდა პოლონეთის სტატისტიკის სამსახურში, დამატებით, პოლონეთის სტატისტიკის სამსახურთან ერთად იწყება რეგიონული ანგარიშების პროექტი;

5. მილენიუმის განვითარების პროგრამის (MCG) დაფინანსებით (მთლიანად 239 000 აშშ დოლარი) საქსტატში დაიწყო:

- “საერთაშორისო შედარებების პროგრამაში” (ICP) საქართველოს მონაწილეობა – 90 000 აშშ დოლარი;

- IT ერთიანი საინფორმაციო უზრუნველყოფის პროექტი – 149 000 აშშ დოლარი (პროგრამული უზრუნველყოფა 110 000 აშშ დოლარი, SPSS ლიცენზია 23 000 აშშ დოლარი, STATA ლიცენზია 16 000 აშშ დოლარი);

გარდა ამისა, MCG-მ საქსტატისთვის შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა და დააფინანსა საქსტატის თანამშრომლების ტრენინგი SPSS და STATA პროგრამებში, სისტემურ ადმინისტრირებასა და პროგრამირებაში;

6. შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) მხარდაჭერით შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან ერთად იწყება 3 წლიანი თანამშრომლობა ერთობლივი პროექტის ფარგლებში. თანამშრომლობის ძირითადი მიზანია საქსტატის ინსტიტუციური და ორგანიზაციული განვითარება და მეთოდოლოგიური გაუმჯობესება. შვედეთის სტატისტიკა საქსტატთან ერთად შეცვლის მეთოდოლოგიას (მათ შორის, შერჩევის, კითხვარების დიზაინის, მეტა-მონაცემების, მონაცემთა ანალიზის, მონაცემთა შეყვანის და გავრცელების), დაეხმარება საქსტატს ეროვნული ანგარიშების, ფასების სტატისტიკის, მარკეტინგის, ბიზნეს სტატისტიკის და მენეჯმენტის გაუმჯობესების

მიმართულებით. პროექტით დაგეგმილი ამოცანები ხელს შეუწყობს საქსტატს საქმიანობა წარმართოს დამოუკიდებლად, ობიექტურად, მაღალ პროფესიულად, საერთაშორისო სტანდატების შესაბამისად. ეს თავის მხრივ დაეხმარება საქართველოს ევრო სტრუქტურებთან დაახლოებაში;

7. პოლანდიის სტატისტიკის სამსახურთან ერთად იწყება ერთობლივი პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქსტატს დახმარება გაეწვა IT-ს, შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის, სოციალური სტატისტიკის და დემოგრაფიული სტატისტიკის მიმართულებით. 2011 წლის მარტში პროექტის შედგენის მიზნით შედგა პოლანდიის სტატისტიკის დელეგაციის ვიზიტი საქსტატში;

8. USAID-ის მიერ დაფინანსებული მსოფლიო სწავლების (World Learning) პროექტ FORECAST-მა ფასების სტატისტიკის რეგისტრატორებისთვის 20 მინი კომპიუტერის შეიძინა (Handhelds);

9. 2010 წლის სექტემბერში ჩამოსული იყო მსოფლიო ბანკის სამუშაო მისია, რომელმაც შეაფასა შინამეურნეობის კვლევები და ბაზები, ჩაუტარა ტრენინგი საქსტატის თანამშრომლებს;

10. გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით საქსტატში იმყოფებოდა შინამეურნეობების კვლევის ექსპერტი, რომელმაც შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები;

11. მიკრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მეშვეობით საქსტატში იმუშავა პოლანდიის სტატისტიკის ბიუროს ქართველმა ექსპერტმა, რომელმაც თანამშრომლებს ჩაუტარა ტრენინგი მეთოდოლოგისა და შერჩევის მიმართულებით;

12. ევროკავშირის TAIEX პროგრამის ფარგლებში ნოემბერში საქსტატში იმუშავეს ჩეხეთის სტატისტიკის ექსპერტებმა, რომლებმაც შეიმუშავეს რეკომენდაციები ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგის სრულყოფის მიმართულებით;

13. ევროკავშირის TAIEX პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა პოლონელ კოლეგებთან, რათა განხორციელდეს მათი დახმარება ბიზნეს სტატისტიკის მიმართულებით;

14. ევროკავშირის TAIEX პროგრამის ფარგლებში საქსტატის სამუშაო ჯგუფი ეწვია ესტონეთს მოსახლეობის აღწერის გამოცდილების გასაზიარებლად;

15. ლატვიის სტატისტიკის სამსახურში მივლინებული იყვნენ საქსტატის თანამშრომლები, რომლებიც გაეცნენ ლატვიელების გამოცდილებას შერჩევის, შინამეურნეობების ბაზის და ინფორმაციის გაყიდვის მიმართულებით;

16. საქსტატმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო სტატისტიკის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში, რომელიც ჩაატარა გაერომ. დამზადებული და გაგზავნილი იქნა შესაბამისი პოსტერი;

17. გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) ერთად მიმდინარეობს მუშაობა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ჩატარების თაობაზე და ჩატარდა დონორთა გაფართოებული შეხვედრა. რამდენიმე დონორისგან მიღებულია თანხმობა;

18. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) დაფინანსებით საქსტატში მუშაობს გეო-ინფორმაციული სისტემების (GIS) სამუშაო ჯგუფი. დაფინანსებამ 2010 წელს შეადგინა 15 000 აშშ დოლარი, ხოლო 2011 წელს დაგეგმილია 65 000 აშშ დოლარის დაფინანსების მიღება;

19. აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით ჩატარდა სოფლის მეურნეობის კვლევის მონიტორინგი;

20. აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით მოეწყო საქსტატის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაფართოებული შეხვედრა სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ძირითად მომხმარებლებთან;

21. აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა საქსტატს საჩუქრად გადმოსცა რამდენიმე კომპიუტერი, ლეპტოპი, პრინტერი და სხვა ტექნიკური საშუალებები.

არსებული პრობლემები

საგრძნობი პროგრესის და ცვლილებების მიუხედავად, სამწუხაროდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინაშე კვლავაც დგას მთელი რიგი პრობლემები, რომელთა გადასაჭრელად დიდი დრო და ცვლილებებია საჭირო. სტატისტიკის დეპარტამენტს როგორც მთავრობის, ასევე დონორების მხრიდან ყოველთვის ჰქონდა მხარდაჭერა. დღესაც, საქსტატის შექმნის პირველივე დღიდან მთავრობასთან, დონორ ორგანიზაციებთან თუ სხვა პარტნიორებთან ერთად ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მიმდინარეობს არსებული პრობლემების მოგვარებაზე მუშაობა. პრობლემების ჩამონათვალი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- ნდობის დაბალი ხარისხი;
- მეთოდოლოგიის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა;
- არასაკმარისი დაფინანსება;
- კვალიფიციური კადრების სიმცირე;
- არასრულყოფილი მეტა-მონაცემები;
- ადგილობრივი სტატისტიკის არქონა;
- რესპონდენტების მხრიდან გამოუპასუხებლობა;
- მოუწერიგებელი ინფრასტრუქტურა;
- დიდი რაოდენობით უსარგებლო უძრავი და მოძრავი ქონება;
- ძველი სახელფასო და ფინანსური დავალიანებები.

2010 წლის განმავლობაში გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რომელთა წარმატებით განხორციელება ეტაპობრივად გამოიწვევს მთლიანად სტატისტიკური სისტემის დახვეწას, საქმიანობისა და სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებას. არსებული პრობლემების მოგვარებისთვის და წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად შემდეგი ქმედებები გვაძლინება:


- ❖ მუდმივი დიალოგი სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან;
- ❖ კვლევების მეთოდების დახვეწა;
- ❖ მონაცემთა გავრცელების ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა;
- ❖ აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობა;
- ❖ სტატისტიკური კვლევების მუდმივი მონიტორინგი.

სტატისტიკის სამსახურისთვის მნიშვნელოვანია მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება, რაც პირდაპირ კავშირშია ხარისხიანი კვლევების და შესაბამისად, საველე სამუშაობის ჩატარებასთან, გამართული ინფრასტრუქტურის არსებობასთან (პირველ რიგში IT და სხვა ტექნიკური ინფრასტრუქტურა) და პროფესიონალი კადრების მომზადებასთან. სტატისტიკა განსაკუთრებული უნარების თანამშრომლებს საჭიროებს. დღეს კი, საველე

პერსონალის და შტატიანი თანამშრომლების ხელფასებიდან გამომდინარე რთულია ამ ყველაფრის უზრუნველყოფა.

საქსტატის საბჭო შეკრების პირველივე დღიდან აქტიურად მუშაობს ამ საკითხების გამოსწორების მიმართულებით. თანამშრომელთა ხელფასების ზრდა, მათი ტრენინგი, გამართული ინფრასტრუქტურა, იყო და რჩება საქსტატის საბჭოს ძირითად პრიორიტეტად და მოთხოვნად. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი სტატისტიკის სამსახურის წარმატების მთავარი წინაპირობაა სტატისტიკური საქმიანობის უფექტური კოორდინაცია ქვეყნის დონეზე. ამიტომ, საქსტატისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია მხარდაჭერა მთავრობის და ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი სხვა სამსახურების მხრიდან.

დანართი 1.



დანართი 2.

აღმასრულებელი
დირექტორი

საბჭო

მოადგილე

აპარატი
(საერთაშორისო,
PR)

ადმინისტრაციული
სამმართველო
(ფინანსები,
კადრები,
სამეურნეო,
კანცელარია)

ინფორმაციული
ტექნოლოგიების
სამმართველო

სამართლებრივი
უზრუნველყოფის
სამმართველო

მეთოდოლოგის
სამმართველო

შიდა აუდიტის
სამმართველო

მოადგილე

ეროვნული ანგარიშების
სამმართველო

მოსახლეობის აღწერისა
და დემოგრაფიის
სამმართველო

საგარეო ვაჭრობისა და
უცხოური
ინვესტიციების
სამმართველო

ფასების სტატისტიკის
სამმართველო

სოციალური
სტატისტიკის
სამმართველო

სოფლის მეურნეობისა
და გარემოს
სტატისტიკის
სამმართველო

ბიზნეს სტატისტიკის
სამმართველო

8 ტერიტორიული
ორგანოების
სამმართველო

დანართი 3.

ორგანიზაციული ქმნი	დასახელება	2010 წლის დამტკიცებული გეგმა	მ. შ., საბიუჯეტო სახსრები	მ. შ., კრედიტები და გრანტები	ცვლილებები	დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები)	2010 წლის შესრულება (საბიუჯეტო სახსრები)	2010 წლის შესრულება (კრედიტები და გრანტები)	2010 წლის შესრულება სულ	შესრულება საბიუჯეტო ასიგურებების %-ში
47 00	სიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი	4 853 000,0	3 215 600,0	1 637 400,0	65 000,0	3 280 600,0	3 210 167,3	1 472 784,0	4 682 951,4	98
47 01	მომუშავეთა რიცხოვნობა	149,0	149,0	0,0	0,0				0,0	
	ხარჯები	4 739 000,0	3 215 600,0	1 523 400,0	50 000,0	3 265 600,0	3 195 658,3	1 399 326,0	4 594 984,4	98
	შრომის ანაზღაურება	1 350 600,0	1 350 600,0	0,0	106 918,0	1 457 518,0	1 457 510,3		1 457 510,3	100
	საქონელი და მომსახურება	3 368 400,0	1 845 000,0	1 523 400,0	-70 361,0	1 774 639,0	1 706 971,9	1 399 326,0	3 106 298,0	96
	სოციალური უზრუნველყოფა	15 000,0	15 000,0	0,0	9 690,0	24 690,0	22 430,1		22 430,1	91
	სხვა ხარჯები	5 000,0	5 000,0	0,0	3 753,0	8 753,0	8 746,1		8 746,1	100
	არაფინანსური აქტივების ზრდა	114 000,0	0,0	114 000,0	15 000,0	15 000,0	14 509,0	73 458,0	87 967,0	97
47 01	სიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის – საქსტატის აპარატი	3 483 000,0	1 845 600,0	1 637 400,0	217 928,0	2 063 528,0	2 039 725,6	1 472 784,0	3 512 509,7	99

	მომუშავეთა რიცხოვნობა	149,0	149,0			149,0	149,0		149,0	100
47 02	ხარჯები შრომის ანაზღაურება საქონელი და მომსახურება სოციალური უზრუნველყოფა სხვა ხარჯები არაფინანსური აქტივების ზრდა	3 369 000,0	1 845 600,0	1 523 400,0	202 928,0	2 048 528,0	2 025 216,6	1 399 326,0	3 424 542,7	99
		1 350 600,0	1 350 600,0		106 918,0	1 457 518,0	1 457 510,3		1 457 510,3	100
		1 998 400,0	475 000,0	1 523 400,0	82 567,0	557 567,0	536 530,2	1 399 326,0	1 935 856,2	96
		15 000,0	15 000,0		9 690,0	24 690,0	22 430,1		22 430,1	91
		5 000,0	5 000,0		3 753,0	8 753,0	8 746,1		8 746,1	100
		114 000,0	0,0	114 000,0	15 000,0	15 000,0	14 509,0	73 458,0	87 967,0	97
	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	780 000,0	780 000,0	0,0	-66 460,0	713 540,0	673 670,6		673 670,6	94
	ხარჯები საქონელი და მომსახურება	780 000,0	780 000,0	0,0	-66 460,0	713 540,0	673 670,6		673 670,6	94
		780 000,0	780 000,0		-66 460,0	713 540,0	673 670,6		673 670,6	94
47 04	შინამურნეობების ინტეგრირებული კელების პროგრამა	240 000,0	240 000,0	0,0	-32 508,0	207 492,0	204 779,7		204 779,7	99
	ხარჯები საქონელი და მომსახურება	240 000,0	240 000,0	0,0	-32 508,0	207 492,0	204 779,7		204 779,7	99
		240 000,0	240 000,0		-32 508,0	207 492,0	204 779,7		204 779,7	99
47 05	სასოფლო მურნეობების შერჩევითი კელების პროგრამა	350 000,0	350 000,0	0,0	-53 960,0	296 040,0	291 991,4		291 991,4	99
	ხარჯები	350 000,0	350 000,0	0,0	-53 960,0	296 040,0	291 991,4		291 991,4	99
	საქონელი და მომსახურება	350 000,0	350 000,0		-53 960,0	296 040,0	291 991,4		291 991,4	99

დანართი 4. ინფორმაცია მხარჯავი დაწესებულების მიერ 2010 წელს მიღებული/მისაღები გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ

გრანტის დასახელება და მიზნობრიობა	დონორის დასახელება (წყარო)	გრანტის მთლიანი მოცულობა (შეთანხმების მიხედვით)	ნაშთი 01.01.2010	2010წელს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ცნობის მიხედვით	ხარჯი 2010	ნაშთი 1.01.2011
ქმ-სი-ჯი-ის პროგრამის ზეგავლენის შეფასების პროექტი, რომელიც გულისხმობს სოფლის ინფრასტრუქტურის აღწერის და შინამეურნეობის ინტეგრ. გამოკვლევის განხორციელებას	ქმ-სი-ჯი"ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	3,105,398.0	712,459.0	1,601,232.0	1,437,038.0	164,194.0
2006-2010 ეროვნული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული და გაეროს მოსახლეობის ფონდის მიმდინარე 2010 წლის სამუშაო გეგმის (AWP) განხორციელება	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA)	27,900.0		21,524.0	21,524.0	0.0
"ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის შესაძლებლობათა განმტკიცება ადგილობრივი ცოდნის საზოგადოებათა მერ კაგშირების განმტკიცების გზით"	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია (UNECE)	19,470.0		14,499.0	14,222.0	277.0

დანართი 5. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების 2010 წლის ანგარიში

დასახელება	ჩამორიცხული თანხა	ხარჯი	გადახდილი დღგ	ნაშთი
ჯანდაცვის მომსახურების უტილიზაციისა და დანახარჯების შეფასების შინამეურნეობის კვლევა	136,773.5	101,327.0	18,220.8	17,225.6
ვეტერინარული მომსახურების შესახებ სასოფლო მეურნეობების გამოკვლევა	59,080.0	51,936.3		7,143.7
გაეროს ბავშვთა ფონდი (ანალიტიკური ანგარიში, გენდერი)	8,900.0	25,441.3	2,559.2	-15,056.5
სხვა შემოსავლები	4,044.0			
სულ:	208,797.5	178,704.6	20,780.0	9,312.8

დანართი 6. ბიუჯეტის, საშტატო რიცხოვნობის და ფონდის დინამიკა 2004-2010 წლებში

